გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 7

2011 წლის 14 თებერვალი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ'' საქართველოს კანონების, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

შემოღებულ იქნეს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემდეგი სახის ადგილობრივი მოსაკრებლები:

1. მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) ნებართვისათვის;
2. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის;
3. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.

მუხლი 2

1. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს:

ა) ახლად ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის ერთი ლარის ოდენობით;

ბ) ახლად ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისთვის საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის ხუთი ლარის ოდენობით.

2. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს:

№	მოსაკრებლის გადამხდელი	ზომის ერთეული	ნარჩენების დაგროვების ნორმა კუბ.მ.თვეში	ერთი კუბ.მ. ნარჩენის გატანის ღირებულება /ლარი/	მოსაკრებლის განაკვეთი თვეში /ლარი/
1	მოსახლეობა	სული	0,1	5,0	0,50
2	ოფისები, სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები, ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები/ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება/	საერთო ფართის ერთი კვ.მ.	0,022	5,0	0,11
3	პოლიკლინიკები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრები, ექიმებისა და სტომატოლოგიური კაბინეტები /ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება/	საერთო ფართის ერთი კვ.მ.	0,022	5,0	0,11
4	საავადმყოფოები / ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება/	ერთი საწოლი	0,062	5,0	0,31
5	სასტუმროები / ინფრასტრუქტურის ფართზე შიდა მომსახურებისათვის მოსაკრებელი არ დაერიცხება/	ერთი საწოლი	0,062	5,0	0,31
6	სასურსათო მაღაზიები/სავაჭრო დარბაზი/	ფართი ერთი კვ.მ.	0,041	5,0	0,21
7	სამრეწველო მაღაზიები და აფთიაქები /სავაჭრო დარბაზი/	ფართი ერთი კვ.მ.	0,013	5,0	0,07
8	რესტორნები, სასადილოები, კაფეები, ბარები და სხვა საზ.კვების ობიექტები	ერთი დასაჯდომი ადგილი	0,13	5,0	0,65

9	აბანოები, საუნები	ერთი კვ.მ.	0,03	5,0	0,15
10	სკოლები, კოლეჯები, ინსტიტუტები, საბავშვო ბაღები და ბაგა-ბაღები, საგანმანათლებლო დაწესებულებები /ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება/	ერთი მოსწავლე	0,01	5,0	0,05
11	თეატრები და კინოთეატრები	ერთი სავარძელი	0,018	5,0	0,09
12	დისკოთეკები, ღამის კლუბები, კაზინოები, ტოტალიზატორები, სათამაშო კლუბები	საერთო ფართის ერთი კვ.მ.	0,03	5,0	0,15
13	ვაგზლები, საავტომობილო და რკინიგზის სადგურები	ღია ფართის ერთი კვ.მ.	0,004	5,0	0,02
		დახურული ფართის ერთი კვ.მ.	0,022	5,0	0,11
14	ღია ტიპის დასვენებისა და გასართობი თავშეყრის ადგილები, სკვერები, ბაღები, ატრაქციონები	საერთო ფართის ერთი კვ.მ.	0,004	5,0	0,02
15	მუზეუმები, ბიბლიოთეკები,არქივები /ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება/	საერთო ფართის ერთი კვ.მ.	0,002	5,0	0,01
16	საცხობები	სამუშაო ფართის ერთი კვ,მ,	0,03	5,0	0,15
17	აგრარული ბაზრები	საერთო ფართის ერთი კვ.მ.	0,02	5,0	0,10
18	შერეული საქონლის ბაზრები	საერთო ფართის ერთი კვ.მ.	0,01	5,0	0,05
19	სამხედრო ნაწილები /ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება/	ერთი სამხ.მოსამსახურე	0,1	5,0	0,50
20	ა/მანქანების სარემონტო სადგურები, ტექ. მომსახურების ადგილები	ღია ფართის ერთი კვ.მ.	0,002	5,0	0,01
		დახურული ფართის ერთი კვ.მ.	0,022	5,0	0,11
21	სადალაქოები და სილამაზის სალონები	საერთო ფართის ერთი კვ.მ.	0,022	5,0	0,11
22	ავტოსადგომები და საწყობები პირდაპირი მიყიდვის გარეშე	საერთო ფართის ერთი კვ.მ.	0,022	5,0	0,11
23	ბენზინგასამართი და გაზგასამართი სადგურები	საერთო ფართის ერთი კვ.მ.	0,01	5,0	0,05
24	საწარმოო ობიექტების ღია ტერიტორიები, სადაც მიმდინარეობს საწარმოო პროცესი	საერთო ფართის ერთი კვ.მ.	0,002	5,0	0,01
25	მსხვილი სერიული პროდუქციის საწარმოების შენობა-ნაგებობები/ საწარმოო ნარჩენების გარდა/	საერთო ფართის ერთი კვ.მ.	0,006	5,0	0,03
26	მცირე სამეწარმეო საქმიანობის შენობის შიგნით მიმდინარე წარმოების საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები	საერთო ფართის ერთი კვ.მ.	0,04	5,0	0,20
27	სტადიონები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ტერიტორიები და მანეჟები/ სატურნირო და სავარჯიშო ობიექტების გარდა/	ღია ფართის ერთი კვ.მ.	0,002	5,0	0,01
		დახურული ფართის ერთი კვ.მ.	0,01	5,0	0,05

3. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთები განისაზღვროს:

ა) სამორინეს თითოეულ სათამაშო მაგიდაზე – კვარტალში 27 000 ლარის ოდენობით;

ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 2250 ლარის ოდენობით;

გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%;

დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე – კვარტალში 30 000 ლარის ოდენობით;

ე) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე – კვარტალში 1 000 ლარის ოდენობით.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 10 ივნისის დადგენილება №31 - ვებგვერდი, 15.06.2011 წ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №51 - ვებგვერდი, 30.12.2011 წ.

მუხლი 3

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლდეს სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობა.

მუხლი 4

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს „გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 16 თებერვლის №24 დადგენილება.

მუხლი 5

ეს დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე თ. ხაჩიური

შეტანილი ცვლილებები:

1. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 10 ივნისის დადგენილება №31 - ვებგვერდი, 15.06.2011 წ.
2. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №51 - ვებგვერდი, 30.12.2011 წ.